



eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ერთიან მონაცემთა ბაზას. მისი მიზანია ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად. eHRMS არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის უწყებებისა და ორგანიზაციების პერსონალის მართვის ფუნქციის ახალ საფეხურზე გადაყვანას.

სისტემა იძლევა საბაზო საკადრო ადმინისტრაციის ფუნქციების ავტომატიზაციის საშუალებას. მასში გაერთიანებულია შემდეგი ფუნქციები:

- სტრუქტურის და საშტატო ერთეულების მართვა;
- სტატისტიკური ინფორმაციის გენერაცია;
- თანამშრომლების შესახებ სრულყოფილი, მუდმივად განახლებული ელექტრონული ინფორმაციის არსებობა;
- თანამშრომლის დასწრებების აღრიცხვა;
- პერსონალის ხელფასის უწყისის რეესტრი;
- თანამშრომლის მივლინებების რეესტრი;
- ძებნისა და ანგარიშგების მძლავრი მექანიზმი;
- ავტომატური შეტყობინებების გენერირების ფუნქციონალი;
- თანამშრომლის მონაცემების არქივირება;
- კლასიფიკატორთა მართვა.

გათვალისწინებულია შერჩევის, შეფასების, სამუშაოს აღწერილობის, სწავლებისა და განვითარების, მართვისა და დროის აღრიცხვის მოდულების იმპლემენტირება. დაგეგმილია eHRMS-ის სახელფასო და მივლინების მოდულების ინტეგრაცია ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან (eTreasury), ხოლო ბრძანებების მოდულის ინტეგრაცია საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემასთან (eDocument). ასევე სისტემას დაემატება მომხმარებლის მოდული (self-service), რაც თითოეულ თანამშრომელს მისცემს საშუალებას, რომ ჰქონდეს საკუთარ მონაცემებზე წვდომა და განახორციელოს ინფორმაციის გაცვლა კადრების თანამშრომლებთან.

სისტემის უპირატესობები:

- სიმარტივე და მოქნილობა მოხმარებისას;
- საკადრო საქმიანობის შესრულებაზე დახარჯული დროის და რესურსების მნიშვნელოვანი ეკონომია;
- ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება და მუშაობის ხარისხის ზრდა;
- ხელით შრომით გამოწვეული შეცდომებისა და მონაცემებს შორის შეუსაბამობის რაოდენობის შემცირება;
- მენეჯმენტის სწორი გადაწყვეტილებების დროული მიღების პროცესის ოპტიმიზაცია.

სისტემა შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობით, მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის და ქვეყნის საკადრო კანონმდებლობისა და მართვის მიღებული წესების გათვალისწინებით.